ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3161457

ნომერი: AR1475855

თარიღი : 15.03.2017

გაცემის თარიღი : 22.03.2017

გაცნობის თარიღი : 22.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქურდიანი , (ნაკვ. 038/028) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ს. ქურდიანი , N 2ბ-ს მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქურდიანი , N 2ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იონას ბობროვიჩიუს პ/ნ 01691015928
- თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 14

ორგანიზაცია:

- ჯეო ლიტ ინვესტი კოდი: 400152197

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 20 ივნისის №2659136 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 15 მარტს #AR1475855 განცხადებით მომართა იონას ბობროვიჩიუსმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 20 ივნისის №2659136 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დადგინდა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 20 ივნისის №2659136 ბრძანებით,

ქალაქი თბილისში, ქუჩა ქურდიანი , (ნაკვ. 038/028) / ქალაქი თბილისში, ქუჩა ს. ქურდიანი , N 2ბ-ს მიმდებარედ/ქალაქი თბილისში, ქუჩა ქურდიანი, N 2ბ-ში (საკადასტრო კოდი: #01.16.02.038.078) არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებელს, 2017 წლის 15 მარტის #AR1475855 განცხადებით წარმოდგენილი აქვს განახლებული დანართი და ითხოვს ზემოთ ხსენებული ბრძანებიდან ამოღებულ იქნას ჩანაწერი: „უკანა ეზო: განისაზღვროს საზოგადოებრივი საზღვრის მოპირირდაპირე სამეზობლო საზღვრიდან 3 მეტრი (იხ. დანართი)“.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 20 ივნისის №2659136 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 20 ივნისის №2659136 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ამოღებულ იქნეს ჩანაწერი: „უკანა ეზო: განისაზღვროს საზოგადოებრივი საზღვრის მოპირირდაპირე სამეზობლო საზღვრიდან 3 მეტრი (იხ. დანართი)“.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 20 ივნისის №2659136 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განახლებული დანართი (იხილეთ დანართი).
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 20 ივნისის №2659136 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.